# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 9

08 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**სხდომას უძღვებოდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, თამაზ შარმანაშვილი, გია გარსევანიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, მამუკა ჯაში და ავთანდილ ჩახვაძე.

**სხდომას არ ესწრებოდა:** კომისიის წევრი ლევან გაბრიჩიძე რომელიც გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 აგვისტოს №4 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესისა და ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე;

(მომხს. ა. მიქელაძე)

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშების ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

6. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

7. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ.

(მომხს. ა. მიქელაძე)

8. სხვადასახვა.

**1. დადგენილება**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 აგვისტოს №4 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2008 წლის 09 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხდებული იქნა საომარი მდგომარეობა, რის საფუძველზეც საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 04 ოქტომბერს დანიშნული არჩევნები გადაიდო. ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის 03 ნოემბერისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, აღნიშნულიდან გამომდინარე საარჩევნო პროცესები უნდა განხორციელდეს კანონის შესაბანისად ანუ უნდა მოხდეს ყველა საარჩევნო მოქმედების შესრულება და შესაბამისად ადრე მიღებული ნორმატიული აქტები ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს იქედან გამომდინარე, რომ უსკოს მიერ მ/წ 04 აგვისტოდან 09 აგვისტომდე მიღებულ აქტებში აღნიშნულია უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 04 ოქტომბერის არჩევნები და მითითებულია კონკრეტული ვადები რის საფუძველზეც უნდა შესრულებულიყო ესა თუ ის საარჩევნო ღონისძიება საარჩევნო სუბიექტის თუ სხვა ორგანოს ან პირის მიერ, რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო საარჩევნო პროცესთან, ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**მიღებულია დადგენილება:**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩენო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 აგვისტოს №4 დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**2. განკარგულება**
**ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებით ამა თუ იმ საკითხის მოწესრიგების მიზნით უსკო უფლებამოსილია განკარგულებით შეიმუშავოს სპეციალური ფორმები. მან აღნიშნა, რომ უსკოს მიერ უნდა იქნას შემუშავებული სპეციალური ფორმა რომლის საშუალებითაც 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ მიწოდებული იქნას უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმების მიხედვით, სხდომის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა რედაქციების მიერ პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შესახებ და განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**მიღებულია განკარგულება**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი/საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაცია (წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის თაობაზე) (ფორმა №5-07.09.02)

ბ) გაზეთის მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაცია (წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის თაობაზე) (ფორმა №5-07.10.02.)

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**3. დადგენილება**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო

კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამებისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიომაუწყებლობის დეპატამენტებმა, და იმ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, რომელთა სათაო ოფისი განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საჯაროდ უნდა გამოაცხადონ და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წინასწარ უნდა წარადგინონ ინფორმაცია უსკო-ს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით – კერძოდ, ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდით უნდა გამოყონ საეთერო დრო, გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა, გრაფიკი და ა.შ. ასევე სხდომის თავმჯდომარემ განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**

| | |
|---|---|
| მომხრე | 9; |
| წინააღმდეგი | 0; |

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**მიღებულია დადგენილება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის, 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 73-ე მუხლის მე-14, $14^1$ და მე-15 პუნქტების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**. წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, იმ

მაუწყებლებმა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, რომელთა სათაო ოფისებიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჯაროდ გამოაცხადონ და უმაღლეს საარჩევნო კომისიაში (რეგიონალურმა ტელერადიომაუწყებლობებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში) წინასწარ წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია: საარჩევნო სუბიექტებისათვის რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი, გაწეული მომსახურება არაუგვიანეს ყოველი კვირის ორშაბათის 18 სთ-სა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული წარმოსადგენი ფორმების მიხედვით.

**მუხლი 2**. წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში გაზეთებმა, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გარდა პოლიტიკური პარტიების გაზეთებისა, იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წინასწარ წარმოადგინონ ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობითა და რა დრომდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი, გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე, უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე, ფართობის ტარიფი, გაწეული მომსახურება ყოველკვირეულად, არაუგვიანეს ყოველი კვირის ორშაბათის 18 სთ-სა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №39 განკარგულებით დამტკიცებული წარმოსადგენი ფორმების მიხედვით.

**მუხლი 3.** კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

**მუხლი 4**. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 5.** ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**4. დადგენილება**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესისა და ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების

განაწილებისა და გამოყენების წესს დადგენილებით ადგენს უსკო. ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ საოლქო საარჩევნო კომისიებს არჩევნების პერიოდში ესაჭიროებათ ფულადი სახსრები - საკანცელარიო, სატრანსპორტო და სხვა ხარჯებისათვის. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**მიღებულია დადგენილება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 55-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხები ჩაირიცხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 34-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის თანახმად გახსნილ ანგარიშებზე ბანკებში.

**მუხლი 3.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ოლქებისათვის გამოყოფილი თანხების ჩარიცხვა მათ მიმდინარე ანგარიშებზე უზრუნველყოს კერჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა.

**მუხლი 4**. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 5.** ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშების ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყოფილი სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით უმაღლეს საბჭოს არჩევნების დანიშვნიდან ხუთი დღის ვადაში უსკო-ს მიერ აუცილებელია შეიქმნას ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. მან აღნიშნა, რომ ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე თანხმობა გამოთქვა ხუთმა პიროვნებამ, რომლებიც საზოგადოებაში სარგებლობენ კარგი ავტორიტეტით და აკმაყოფილებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-10[1] პუნქტის მოთხოვნებს, სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე მსურველი პიროვნებების ვინაობა, საქმიანობის სფერო და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**მიღებულია განკარგულება:**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საარჩევნო სუბიექტების მიერ 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგის მიზნით შეიქმნას ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი.

2. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი დაკომპლექტებული იქნას საზოგადოებრივი წარმომადგენლებით, იურისტებითა და ლიცენზირებული აუდიტორებით.

3. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) მირიან ქათამაძე – შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს იურიდიული განყოფილების უფროსი;

ბ) მარიზა აბაშიძე - ქ. ბათუმის №2 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ;

გ) ნინო ტავლალაშვილი - „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აჭარის ფილიალის თავმჯდომარე;

დ) რევაზ გოგიტიძე – აუდიტი;

ე) რეზო მანველიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

4. დაევალოს მონიტორინგის ჯგუფს, მისი შექმნიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა, დასამტკიცებლად წარმოუდგინოს უსკოს განკარგულების პროექტი ჯგუფის დებულების, მისი მუშაობის წესის (მათ შორის ჯგუფის მიერ მიღებული დასკვნების უსკოსათვის წარდგენის ვადის) შესახებ.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**6. განკარგულება**
**ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული უნდა იქნას საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის და საარჩევნო პარტიის/ბლოკის წამომადგენლის მოწმობები საარჩევნო ოლქში, რომლებიც განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან ფერების მიხედვით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**მიღებულია განკარგულება**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობა (ფორმა №6-07.12.03);

ბ) საარჩევნო პაარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა 6-07.11.03) ოლქში;

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. **განკარგულება**
**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის შემდეგის საკითხი - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა არჩევის შესახებ და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად უსკო-ს უფლება აქვს თითოეულ ოლქში აირჩიოს თითო წევრი. ასევე აღნიშნა, რომ ოლქის წევრობაზე უსკოს მიერ შექმნილ სამდივნოში შემოსულია სულ 6 განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე, რომლების მოითხოვენ ამა თუ იმ ოლქში წევრად არჩევას, მან აღნიშნა, რომ №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში – ოლქის წევრობაზე განცხადება შემოტანილი აქვს ომარ ვარშანიძეს, №80 ქედის საარჩევნო ოლქში - ნონა თებიძეს, №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში - ლაშა ანანიძეს №82 შუახევის საარჩევნო ოლქში რომან დარჩიძეს, №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში - რევაზ თურმანიძეს და №84 ხულოს საარჩევნო ოლქში – მალხაზ სურმანიძეს. კომისიამ განიხილა თითოეული ოლქის წევრობის კანდიდატის განცხადება, წარმოდგენილი თანდართული მასალები და კენჭი უყარეს თითოეულს ცალცალკე.

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ომარ ვარშანიძის არჩევის შესახებ

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**დაადგინეს:** №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული იქნა ომარ ვარშანიძე.

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ომარ ვარშანიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ნონა თებიძის არჩევის შესახებ

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**დაადგინეს:** №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული იქნა ნონა თებიძე.

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ნონა თებიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ლაშა ანანიძის არჩევის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**დაადგინეს:** №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული იქნა ლაშა ანანიძე.

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ლაშა ანანიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის რომან დარჩიძის არჩევის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**დაადგინეს:** №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული იქნა რომან დარჩიძე.

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად რომან დარჩიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის რევაზ თურმანიძის არჩევის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**დაადგინეს:** №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული იქნა რევაზ თურმანიძე.

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად რევაზ თურმანიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის მალხაზ სურმანიძის არჩევის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი

**დაადგინეს:** №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეული იქნა მალხაზ სურმანიძე.

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად მალხაზ სურმანიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**8. სხვადასხვა.**

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ა. მიქელაძე |
| კომისიის მდივანი | ქ. ჯიქია |